სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დემეტრე ჯინჯოლიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	**20**
პროფესიული თვისებები	14	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	**10**
პროფესიული აქტივობა	3	**5**
ქულათა ჯამი	88	**100**

ლევან ნემსაძე

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - დემეტრე ჯინჯოლიას

შეფასება დასაბუთება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა დემეტრე ჯინჯოლია. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე შევაფასე - „კანონის" 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

კანდიდატი - 32 წლისაა. განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრი. თსუ 2014 წელი ბაკალავრი, თსუ 2017 წელი მაგისტრი
ნასამართლობა: არა
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 9 წელი,
სამუშაო სტაჟი 9 წელი, კერძოდ:

- 2015 თებერვალი - 2015 აგვისტო, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;

- 2015 აგვისტო - 2016 თებერვალი, მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;
- 2016 თებერვალი - 2016 სექტემბერი, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 2016 სექტემბერი - 2018 დეკემბერი, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2018 დეკემბერი - 2023 ივლისი, გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2023 ივლისი - 2024 ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. კანდიდატს ახასიათებენ როგორც გაწონასწორებულ, თავაზიან, კეთილსინდისიერ, კომუნიკაბელურ, შრომისმოყვარე, პუნქტუალურ პიროვნებას.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.

კანდიდატის სახელზეა არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება.

უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 5 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება:

- სისხლის სამართალი - დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.
- სამოქალაქო სამართალი - მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა.
- ადმინისტრაციული სამართალი - კანდიდატი არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილ ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:

- აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი

- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრენერი, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი
- ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი
- წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
- ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრეინინგი

- სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
- ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
- პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Prosecutors) რიგით 27-ე საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (ქ. თბილისი, საქართველო);
- კორუფციით მიღებული შემოსავლის ამოღების თაობაზე ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მონაწილე და მომხსენებელი, ინიციატორი - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), (ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა).

სტიპენდია/ჯილდო

- სპეციალური წოდებები:
  - ✓ უმცროსი იურისტი - 29.02.2016 (ბრძ.№120-მ);
  - ✓ მესამე კლასის იურისტი - 01.03.2017 წ. (04.04.2017 წლის ბრძანება №34-მ §3);
  - ✓ მეორე კლასის იურისტი - 01.03.2019 წ. (02.04.2019 წლის №47-გ §2);
  - ✓ პირველი კლასის იურისტი - ვადამდე - 27.05.2021 წ. (ბრძანება №18 §33);
  - ✓ იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - ვადამდე - 27.12.2022 წ. (ბრძანება №22 §5).

- წახალისებები:
  - ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 19 მაისის №5 §16 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;

- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №22 §5 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა იუსტიციის უმცროსი მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №21 §157 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 28 დეკემბრის №34 §2 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 27 მაისის №18 §33 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 24 დეკემბრის №32 §126 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- ✓ სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს მთავარი პროკურორის 2019 წლის 30 მაისის №7 §6 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

იგი არ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას.

კანდიდატს არ აქვს პუბლიკაციები და ნაშრომები.

ჩაბარებული აქვს მოსამართლეობისა და ადვოკატურის საკვალიფიკაციო გამოცდა;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ასევე თურქულს - საბაზისო.

არის დასაოჯახებელი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის" მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 5 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.
შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.**

„დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სათანადო ცოდნა. მისი პასუხები ძირითადად ზოგადი ხასიათის იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული, ან/და იყო ხარვეზიანი.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -22 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვინაიდან კანდიდატს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, ნაშრომი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მისი შეფასება ამ კრიტერიუმით, დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -22 ქულით.**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი. ამასთან დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების, რეკომენდატორთა დახასიათებებისა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგად მივიჩნიე, რომ იგი, **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს - 18 ქულით.**

კანდიდატი შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. უთითებენ, რომ უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, **„პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -14 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისა. შესაბამისად **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -9 ქულით.**

კანდიდატი არ ეწევა აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა

ფორმატის შეხვედრებში. შესაბამისად, **„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 3 ქულით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 88 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 09. 12. 2024